ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებული კომისიის სხდომის

ოქმი #9

20 მარტი 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე,
მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს თავმჯდომარე გ.ტყემალაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ.ახვლედიანი, საკრებულოს დეპუტატები: გ.ბირბიჩაძე, რ.სოხაძე, თ.ტალიაშვილი, ა.ლაშხი, რ.ბერაძე

ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ა.ბასილაია, სამსახურის უფროსის მოადგილე ვიქტორ წილოსანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ.

მოისმინეს:

ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ მიმდინარე პროექტები წარმოადგინა. მისი განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის ეკონომიკური სტრატეგიის დაწერა, რომელიც აქამდე არ არსებობდა.

მისი განცხადებით, დოკუმენტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. თბილისის მერია ევროკავშირთან აქტიურად თანამშრომლობას ამ საკითხზე. თბილისის საკრებულოს უახლოეს მომავალში წარედგინება სამუშაო ვერსია განსახილველად. რაც შეეხება საბოლოო ვარიანტს, სავარაუდოდ სექტემბერში იქნება მზად.

წარმოდგენილ პროექტებს შორის არის მიწისქვეშა ავტომობილების მოწყობა, რადიო ქალაქი, კოოპერატიული ბინათმშენებლობები, ავარიული კორპუსების ჩანაცვლება, სინათლის ქალაქი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეკონომიკური განვითარება, ღამის ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარების ფორუმი, ბიზნეს-აქსელერატორი.

ანდრია ბასილაიას განცხადებით, კოოპერატიული ბინათმშენებლობების დაზარალებულთა საკითხზე მერია 2016 წლიდან მუშაობს. ახალი პროექტის მიხედვით, მერია გეგმავს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით ინვესტორთა დაინტერესებას, სადაც დაზარალებულთათვის ბინები აშენდება.

ევროკავშირისგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტის საშუალებით 2018 წლის III კვარტალში თბილისში გაიხსნება ბიზნეს აქსელერატორი. მისი მეშვეობით ბიზნესის დაწყების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მარკეტერის, იურისტის, ბუღალტერისა და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციები, ასევე, ამავე პერიოდში ისარგებლონ ზიარი სამუსაო სივრცით. გრანტის მოცულობა შეადგენს 506633,98 ევროს, გრანტის ხანგრძლივობა მოიცავს ოთხ წელს 2018-2021 წლები.

საუკეთესო ბიზნესის კონცეფციებს დაეხმარებიან ბიზნეს გეგმების შედგენასა და შემდგომ მათ ადვოკატირებაში.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოში არსებულ მსხვილ საფინანსო ინსტიტუტებთან აღნიშნული პროექტების შესაძლო დაფინანსების სტრუქტურაზე

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ხორციელდება აქტიური თანამშრომლობა. საკრებულოს წევრების და განსაკუთრებით, მაჟორიტარების ჩართულობა ამ პროეტების განხორციელებაში მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დეპუტატებმა მშენებლობების საკითხზე, ტურიზმის განვითარებაზე და ინვესტორთა დაინტერესებაზე კითხვები დასვეს და საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გ.თყემალაძემ, ო.გრიგოლიამ, ი.ჯიშკარიანმა, ლ.დარახველიძემ, რ.სოხაძემ, გ.ბირბიჩაძემ, თ.ტალიაშვილმა, რ.ბერაძემ

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია